შეთანხმების ოქმი # 66/1

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და შპს „ორიენტ ლოჯიკი“ -ს შორის 2014 წლის 01 სექტემბერს დადებულ # 66 ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისი 16 სექტემბერი 2014 წელი

ერთი მხრივ, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი, პერსონალური მონაცემთა დაცვის ინსპექტორის თამარ ქალდანის სახით და მეორე მხრივ, შპს „ორიენტ ლოჯიკი“, წარმოდგენილი მისი კომერციული დირექტორის ალან სანაკოევის სახით, შპს „ორიენტ ლოჯიკი“-ს 2014 წლის 16 სექტემბრის #01324 წერილის, პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატის ინფორმაციული ტექნოლოგიების ადმინისტრატორის არჩილ გელაშვილის მოხსენებითი ბარათის (#180-01; 16.09.2014) და მხარეებს შორის ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე ვდებთ წინამდებარე შეთანხმების ოქმს შემდეგზე:

1. საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და შპს „ორიენტ ლოჯიკს“, შორის 2014 წლის 01 სექტემბერს დადებულ # 66 ხელშეკრულების მე-9 მუხლის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ამავე ხელშეკრულების პირველ მუხლის 1.1. პუნქტში და მეორე მუხლის 2.1. და 2.2. პუნქტებში შეტანილ იქნეს ცვლილება და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

   1.1 ამ ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის ამ ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად 1 (ერთი) ერთეული პორტაბელური კომპიუტერის (ლეპტოპი) (პორტაბელური კომპიუტერი (ლეპტოპი) - CPV 30213100) მიწოდება.

პროდუქტის მოკლე აღწერილობა	რაოდნ.	ერთ. ფასი, ლარი	სულ, ლარი
ნოუთბუქი- Deli Inspiron I5(3537) BTX (i5-4200U/4/500/HD/1GB 8670 M/6-cell Black (210-AAVJ) (272347644)	1	1100	1100
		სულ ჯამი:	1100

   2.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულებაა 1100 (ერთი ათას ასი) ლარი.

   2.2. ერთი ერთეული ლეპტოპის ფასი შეადგენს 1100 (ერთი ათას ასი) ლარს.

2. განხორციელდეს ხარვეზიანი საქონლის შეცვლა და ახალი ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისგან თავისუფალი საქონელის მიწოდება შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტების და სასაქონლო ზედნადებების საფუძველზე; ამ შეთანხმების

ძალაში შესვლიდან არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღისა შემდეგ მისამართზე: ქ.თბილისი. დიღმის მასივი, ბელიაშვილის #8.

3. განსხვავებული თანხის, 180 (ასოთხმოცი) ლარის დაბრუნება მიმწოდებლის მხრიდან განხორციელდეს შეთანხმების ძალაში შესვლიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში. შემსყიდველის მიერ მითითებულ სახაზინო ანგარიშზე.
4. წინამდებარე შეთანხმება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2014 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.
5. შეთანხმების ოქმი შედგენილია ორ გვერდზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად და წარმოადგენს საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატსა და და შპს „ორიენტ ლოჯიკს", შორის 2014 წლის 01 სექტემბერს დადებულ # 66 ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორი	შპს „ორიენტ ლოჯიკი",-ს კომერციული დირექტორი
_____	_____
თამარ ქალდანი	ალან სანაკოევი

საქართველოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი
OFFICE OF THE PERSONAL DATA PROTECTION
205305515

საქართველო. GEORGIA. TBILISI
ORIENT LOGIC Ltd
RN 202052054

Orient Logic

8, Beliashvili,
Tbilisi, Georgia,
0159

www.orient-logic.com

Tel.: (995 32) 254 18 18
Fax: (995 32) 252 71 70

16 სექტემბერი 2014 წ. № 01324

ა ქ ტ ი

მფლობელი: „პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატი“

პროდუქტი: Notebook HP ProBook 450 i5-4210U (S/N: CND4304XK2 ; P/N: J4S03EA)

დასკვნა: 11/09/2014-ში სერვის ცენტრში მოტანილ იქნა აღნიშნული პროდუქტი, კლიენტის განაცხადით „ეკრანზე აქვს პიქსელი და კლავიატურა არ მუშაობს“ შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ პროდუქტს დაზიანებული აქვს კლავიატურა და ეკრანს აქვს ერთი წითელი პიქსელი.

სერვის ცენტრის მენეჯერი

ნათია ჭუმბურიძე

16.10.2014

ORIENT LOGIC Ltd
GEORGIA. TBILISI
RN 202052054

N 180-01

16/09/2014

პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორს, **ქალბატონ თამარ ქალდანს**

მოხსენებითი ბარათი

მოგახსენებთ, რომ ამა წლის 01 სექტემბერს # 66 ხელშეკრულების საფუძველზე პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის აპარატმა შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი"-საგან შეისყიდა ნოუთბუქი (HP Probook 450 G2 Intel i5-4210U 1.7 / 15.6" HD AG 1366x768 / 4Gb / 500Gb 5400rpm / DVD+RW / Free Dos HP Fingerprint Sensor) ერთწლიანი გარანტიით.

რამდენიმე დღეში აღმოჩნდა, რომ ნოუთბუქის კლავიატურის ცალკეულ ღილაკებზე დაჭერის დროს არ იდენტიფიცირდებოდა აკრეფილი სიმბოლოები, ასევე ეკრანზე იყო მკვდარი წერტილი, რის გამოც მივმართეთ შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი"-ს და მოვთხოვეთ ნოუთბუქის შეცვლა.

შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი"-ს საწყობში არსებული 7 ერთეული ანალოგიური (HP Probook 450 G2 Intel i5-4210U 1.7 / 15.6" HD AG 1366x768 / 4Gb / 500Gb 5400rpm / DVD+RW / Free Dos HP Fingerprint Sensor) ნოუთბუქის გადამოწმების შედეგად გამოვლინდა, რომ ყველა მათგანს

აღენიშნებოდა ქარხნული წუნი. შესაბამისად, იგივე მოდელის ნოუთბუქის მოწოდებას შ.პ.ს „ორიენტ ლოჯიკი“ ვერ უზრუნველყოფდა, სანაცვლოდ მომწოდებელმა შემოგვთავაზა იგივე სპეციფიკაციის მქონე სხვა მწარმოებლის ნოუთბუქი (Inspiron 3537 Intel i5-4200U 1,6 (up to 2,6) / 15.6" HD 1366x768 / 4Gb /500Gb 5400 rpm / DVD+RW / Linux AMD Radeon HD 8670 with 1GB dedicated video memory, Li-ion battery 6) შედარებით დაბალი ფასით.

გთხოვთ დაგვრთოთ ნება მოვახდინოთ HP Probook 450 G2 Intel i5-4210U 1.7 / 15.6" HD AG 1366x768 / 4Gb / 500Gb 5400rpm / DVD+RW / Free Dos HP Fingerprint Sensor (ფასი 1280 ლარი) ნოუთბუქის ჩანაცვლება Inspiron 3537 Intel i5-4200U 1,6 (up to 2,6) / 15.6" HD 1366x768 / 4Gb /500Gb 5400 rpm / DVD+RW / Linux AMD Radeon HD 8670 with 1GB dedicated video memory, Li-ion battery 6 ნოუთბუქით (ფასი 1100 ლარი) და შესაბამისად ხელშეკრულებაში განვახორციელოთ ცვლილებები.

პატივისცემით,

არჩილ გელაშვილი